სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

05 / სექტემბერი / 2024 წ.

KA080144421055124

№ **2407**

განკარგულება

შპს „გზამშენის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT210019025;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „გზამშენი“ (ს/ნ: 437062018);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 5 ივლისს წარმოდგენილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 5 ივლისის №2-15/9650 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №5606), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გზამშენის“ (ს/ნ: 437062018) მიერ NAT210019025 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 30 დეკემბრის №145-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის info@gzamsheni.ge მეშვეობით, 2024 წლის 16 ივლისის № 2137 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 23 ივლისს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 22 ივლისის განმარტება (რეგისტრაციის №6049) 2021 წლის 30 დეკემბრის №145-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 23 აგვისტოს, სააგენტოს 2024 წლის 19 აგვისტოს № 2432 წერილის პასუხად, სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 22 აგვისტოს №2-15/12731 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №7114) 2021 წლის 30 დეკემბრის №145-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.5. მიმწოდებელმა 2024 წლის 30 აგვისტოს და 5 სექტემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 29 აგვისტოს (რეგისტრაციის №7216) და 5 სექტემბრის (რეგისტრაციის №7429) დამატებითი ინფორმაცია 2021 წლის 30 დეკემბრის №145-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა 2021 წლის 30 დეკემბრის №145-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვია მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების დარღვევამ, შემსყიდველი და საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ მიცემული გაფრთხილებების უგულებელყოფამ. მიმწოდებელს, 2022 წლის 1 აპრილიდან დაევალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების დაწყება. ხელშეკრულებაზე თანდართული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული 2022 წლის სექტემბრის თვის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, შემსყიდველ ორგანიზაციაში არ შესულა მიმწოდებლის მიერ გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სხვა თვეების ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მომწოდებელმა მოგვიანებით აცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე აღმოჩენილი სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების შესახებ და მოითხოვა მათი შესწავლა საპროექტო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით, დეპარტამენტმა მიმართა საპროექტო ორგანიზაციას და მოითხოვა დასმული საკითხების შესწავლა. მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემური საკითხების საპასუხოდ, საპროექტო ორგანიზაციამ 2022 წლის 22 ნოემბრის წერილში განმარტა, რომ საპროექტო ზონაში არსებული მაღალი ძაბვის ერთდგარიანი ელექტრო ბოძებიდან ერთ-ერთის (კმ 1+620, ღერძის ხაზიდან მარჯვენა მხარეს) დატოვება, მცირე დამცავი სამუშაოების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო, ხოლო მეორე ბოძისთვის (კმ 1+600, ღერძის ხაზიდან მარცხენა მხარეს) გასცა მისი გადატანის რეკომენდაცია.

2.3. რაც შეეხება მიწის სამუშაოებს, შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციით, საპროექტო ორგანიზაციამ განმარტა, რომ მიმწოდებლის მიერ ნახსენები წყლების შემოდინებასთან დაკავშირებული გარემოებები სტანდარტული მოვლენა იყო მდინარის კალაპოტში მუშაობის დროს და მიმწოდებელს აღნიშნული უნდა გაეთვალისწინებინა სატენდერო წინადადების მომზადების ეტაპზევე. შესაბამისად, წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებული იყო მიმწოდებელზე და სამუშაოებისადმი მის ინდივიდუალურ მიდგომაზე. შესაბამისად, სწორედ მიმწოდებელი იყო პასუხისმგებელი მუშაობის მეთოდისა და სამუშაოებისათვის გამოსადეგი მანქანა-მექანიზმების შერჩევაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მიმწოდებელი კვლავ აფიქსირებდა იდენტურ პოზიციას საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირების აუცილებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამორიცხავდა სამუშაოების განახლების შესაძლებლობას.

2.4. 2023 წლის 9 თებერვალს, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა №GZ-SEN-024 წერილით, სადაც იგი განმარტავდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია ზოგადი ხასიათის იყო და ობიექტზე არსებული ფაქტობრივი გარემოებები განსხვავდებოდა წარმოდგენილი პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოებისგან. შესაბამისად, მიმწოდებელმა კიდევ ერთხელ წამოჭრა კორექტირებული პროექტისა და შესაბამისი კორექტირებული სამუშაოთა მოცულობათა უწყისის წარმოდგენის აუცილებლობის საკითხი, რომლის ფარგლებშიც დაკორექტირდებოდა ხარჯთაღრიცხვა და შესაძლებელი გახდებოდა სამუშაოების განახლება. შესაბამისად, 2023 წლის 2 მარტის № 2-01/3026 წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმართა „გაეროს განვითარების პროგრამის“ პროექტის კოორდინატორს და აცნობა საპროექტო დოკუმენტაციის ავტორის დეტალური და სიღრმისეული განმარტებების აუცილებლობის შესახებ, რათა დაგეგმილიყო შესაბამისი ღონისძიებები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები წარმატებით განხორციელებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ გაიცა ექსპერტის დასკვნა, რომლის გათვალისწინებით საპროექტო დოკუმენტაციის დაკორექტირების შემთხვევაშიც, შესაძლებელი გახდებოდა სამუშაოების წარმოებას პროექტის შესაბამისად. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმართა „გაეროს განვითარების პროგრამის“ პროექტის კოორდინატორს ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის აუცილებლობის შესახებ, რათა განახლებულიყო სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე, რომელიც, მოცემული დროისთვის, დაახლოებით ერთი წელი არ მიმდინარეობდა. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 26 დეკემბრის № 2-01/20718 წერილით, მიმწოდებელს გადაეგზავნა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული შენიშვნებისა და მითითებების გათვალისწინებით დაკორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია, მაგრამ, მიუხედავად მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემური გარემოებების დეტალური განხილვისა და შესაბამისი ექსპერტიზის

დასკვნის მომზადებისა, მიმწოდებელი კვლავ ითხოვდა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პროექტის კორექტირებას და ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. აღნიშნულთან დაკავშირებით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ განხორციელდა დამატებითი გეოლოგიური კვლევა, რომლის შედეგადაც დადასტურდა საპროექტო დოკუმენტაციაში ასახული გეოლოგიური მდგომარეობა, შესაბამისად, სავსებით შესაძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების წარმოება არსებული პროექტის ფარგლებში. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე სავსებით შესაძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება არსებული საპროექტო დოკუმენტაციის ფარგლებში. პროექტის სრულფასოვნად განხორციელებისათვის, აუცილებელი იყო სამუშაოების დროულად განახლება, რათა საფრთხე არ შექმნოდა პროექტის იმპლემენტაციას. მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებელი კვლავ უარს აცხადებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და გამორიცხავდა სამუშაოების განახლების შესაძლებლობას.

2.5. შემსყიდველი ორგანიზაცია განმარტავს, რომ იგი პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში, ყოველ ეტაპზე ითვალისწინებდა არსებულ შემაფერხებელ გარემოებებს და ყველა შესაძლო გზით ცდილობდა, საფრთხე არ შექმნოდა პროექტის წარმატებით განხორციელებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებელი უარს აცხადებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე მის მიერ დასმული ყველა სადავო საკითხი გადაწყვეტის შემდგომაც და თავს არიდებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია არ ეთანხმება მიმწოდებლის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი არა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, არამედ საპროექტო დოკუმენტაციის სამშენებლო მოედანთან არსებულ რეალურ მდგომარეობასთან შეუსაბამობა იყო.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას და განმარტავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო არა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, არამედ საპროექტო დოკუმენტაციის შეუსაბამობა სამშენებლო მოედანთან არსებულ რეალურ მდგომარეობასთან. მიმწოდებელი განმარტავს, რომ მან არაერთხელ მოითხოვა პროექტის ცვლილება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სამუშაოების წარმოების გაგრძელება, თუმცა უშედეგოდ. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ 2023 წლის 28 ნოემბრის №5007631023 ექსპერტის დასკვნის თანახმად, მკაფიოდ იყო შეფასებული მიწის გრუნტის განსაზღვრის არასწორი მეთოდიკა. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ სამუშაოების დაწყების თავდაპირველ ეტაპზევე გამოვლენილი შეუსაბამობების გამო, მის მიერ ჩაინიშნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომელიც შემდგომში გადაეცა შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული კვლევის საფუძველზე შემსყიდველმა ორგანიზაციამ და საპროექტო ორგანიზაციამ ჩაატარეს არაერთი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/ექსპერტიზები. ხსენებული დოკუმენტის ფარგლებში წარდგენილი მხარეთა მიერ ინდივიდუალურად მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები პრაქტიკულად ავსებდა ერთმანეთს იმ ნაწილში, რომ მიმწოდებელი არ დაობდა შემსყიდველ ორგანიზაციასთან გრუნტის თაობაზე, არამედ მისი პოზიცია იყო ის, რომ მიწის გრუნტის სისუსტისა და ძლიერი ტენიანობის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მეთოდიკით მუშაობა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შესატანი იყო ცვლილება ფაქტობრივ მდგომარეობასთან მისადაგების გათვალისწინებით. მიმწოდებელი განმარტავს, რომ არაერთი იდენტიფიცირებული პრობლემის მიუხედავად, შემსყიდველი ორგანიზაცია და პროექტის ავტორი არ აგვარებდნენ კონკრეტულ პრობლემურ საკითხებს, რამაც გამოიწვია შესასრულებელი ვალდებულებების 2 წლის ვადით გაჭიანურება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 30 დეკემბერს, NAT210019025 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „გზამშენს“ (ს/ნ: 437062018) შორის დაიდო № 145-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალების მიღებიდან 12 თვის ვადაში უნდა შეესრულებინა სენაკის მუნიციპალიტეტში სოფელ ჭალადიდის მდინარე ცივისაგან დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 797 978,83 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 8 იანვარი.

4.2. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 23 მარტის №2-04/4144 წერილით, მიმწოდებელს აცნობა, რომ უნდა დაეწყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, 2022 წლის 1 აპრილიდან.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 19 სექტემბრის №2-01/14712 წერილით დგინდება, რომ ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის ტემპი დაბალი იყო, ასევე, არასაკმარისად იყო მობილიზებული მანქანა-მექანიზმები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რაც საფრთხეს უქმნიდა ხელშეკრულებაზე თანდართული 2022 წლის სექტემბრის თვის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

4.4. მიმწოდებელმა 2022 წლის 20 ოქტომბრის №GZ-SEN-018 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საპროექტო ღერძიდან კმ 1+600-ზე მდებარეობდა 2 ერთეული მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, რომელიც მოყოლილი იყო 47 მ სიგანის საექსკავაციო არეალში, აღნიშნული ხაზების დაცვა ან გადატანა

გათვალისწინებული არ იყო ტექნიკურ დავალებასა და ხარჯთაღრიცხვაში. ამდენად, გაურკვეველი იყო თუ როგორ უნდა შესრულებულიყო აღნიშნული სამუშაოები. ამასთან, სამშენებლო მონაკვეთზე სამუშაოების შესრულებისას გრუნტიდან მუდმივად მიედინებოდა წყალი და მიმწოდებლის მიერ მობილიზებულ მძიმე ტექნიკას ხელს უშლიდა გადაადგილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა გადაწყვიტა გრუნტის აგებულების გადამოწმება ლაბორატორიაში. აღნიშნული კვლევის საფუძველზე შეუძლებელი იყო სამუშაოების შესრულება პროექტის საფუძველზე. რაც შეეხება აღნიშნულ დრომდე შესრულებულ სამუშაოებს, იგი განხორციელდა სხვა მეთოდოლოგიით, კერძოდ, ექსკავატორით მრავალჯერადი გადაადგილებით და დასაწყობებით ფერდის თავზე. ამდენად, აუცილებელი იყო დეტალური საინჟინრო კვლევის საფუძველზე პროექტის გადახედვა და გადაწყვეტილების მიღება მიწის დამუშავების მხრივ, ხოლო მანამდე კომპანია მოკლებული იყო სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობას არსებული პროექტის მიხედვით.

4.5. მიმწოდებელმა 2022 წლის 27 ოქტომბრის № GZ-SEN-020 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა, რომ ეშუამდგომლა პროექტის ავტორთან 225 000m^3 ამოღებული მიწის დასაწყობებასთან და ტრანსპორტირების საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

4.6. მიმწოდებელმა 2024 წლის 2 დეკემბრის №GZ-SEN-021 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას 2022 წლის 20 ოქტომბრის № GZ-SEN-018 წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებით აცნობა, რომ დაზუსტებას და განმარტებას საჭიროებდა ხარჯთაღრიცხვა იმ ნაწილში, თუ რა მანქანა-მექანიზმებით უნდა შესრულებულიყო სამუშაოები. ასევე, სამუშაოების დაწყების ეტაპზე დაფიქსირდა არაერთი ფაქტორი უხვი ნალექის და მდინარის ადიდების სახით, რაზეც მიმწოდებელმა განახორციელა დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები, თუმცა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დამდგარი წინააღმდეგობების გამო, რასაც წინ უძღვოდა ბულდოზერის ჩაძირვა და თვითმცლელების ვერ გადაადგილება, როგორც დატვირთულზე, ისე ცარიელ მდგომარეობაშიც, რის გამოც კომპანიამ შეცვალა მშენებლობის ტაქტიკა და გრუნტის ამოღება გაგრძელდა მრავალჯერადი გადაადგილებით და ფერდობზე ამოყრით, თუმცა აღნიშნულმაც არ გაამართლა, რადგან ამოყრილი გრუნტის ვერ გატანის გამო უხვი ნალექის მოსვლის შემდეგ კვლავ ივსებოდა ამოწმენდილი არეალი ამონატანი მასით. რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოებს, ტექნიკურად მიზანშეწონილი იყო მათი განხორციელება კალაპოტის გაჭრისა და შევსების სამუშაოების დასრულების შემდეგ. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიმწოდებელმა ითხოვა საპროექტო ორგანიზაციას წარედგინა მშენებლობის ორგანიზაციის გეგმა-ნახაზი და გამოთქვა მზადყოფნა ხსენებული საკითხების გადაჭრის შემდეგ სამუშაოები გაეგრძელებინა კორექტირებული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 9 ნოემბრის №2-01/17721 წერილში აღნიშნულია, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, ხოლო რიგ შემთხვევებში საერთოდ შეჩერებული იყო, რის გამოც მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების ჯეროვნად შესრულება და მიეცა გაფრთხილება საჯარიმო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.

4.8. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 16 დეკემბრის № 2-01/20154 წერილით მიმწოდებელს გადაუგზავნა საპროექტო ორგანიზაციის რეკომენდაციები და მოუწოდა განეახლებინა სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ.

4.9. მიმწოდებელმა 2022 წლის 26 დეკემბრის №GZ-SEN-022 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას, 2022 წლის 16 დეკემბრის №2-01/20154 წერილის პასუხად, აცნობა, რომ წარდგენილი პასუხები საჭიროებდა დაზუსტებას, კერძოდ:

– წარდგენილი ნახაზებისა და განმარტების მიხედვით აღმოჩნდა, რომ გადამისამართებული კალაპოტის ნაპირების სიახლოვეს განლაგებული ორი საყრდენიდან ერთი არ უშლიდან ხელს და შესაძლებელი იყო შესაძლებელი იყო მცირე დამცავი საშუალებების გათვალისწინება, ხოლო მეორე ბოძის გადატანა იყო რეკომენდებული;

– მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით, საპროექტო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ძირითადი მიწის სამუშაოები მიმდინარეობდა რბილპლასტიურ თიხნარში და ასევე მე-2 კატეგორიის გრუნტში, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან მიწის სამუშაოები ძირითადად შედგებოდა პირველი კატეგორიის დენადპლასტიური თიხნარისგან, რაც, თავის მხრივ, მანქანა-მექანიზმებისთვის სამუშაოების შესრულების ეტაპზე გაცილებით რთული და მეტწილად შეუძლებელი იყო, რადგან საჭირო იყო არა კლასიკური, არამედ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება განსაკუთრებით მდინარის კალაპოტის სამუშაოების ეტაპზე. ასევე, საპროექტო ორგანიზაციის განმარტებით, ხსენებული პრობლემის გადაჭრა დამოკიდებული იყო კონტრაქტორის ინდივიდუალურ მიდგომასა და მის განკარგულებაში არსებულ მანქანა-მექანიზმებზე, მაგრამ მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან არაერთი ინდივიდუალური მიდგომის მიუხედავად, შეუძლებელი გახდა სამუშაოების გაგრძელება. ასევე, ჩასატარებელი სამუშაოების ალბათობა არ იყო გათვალისწინებული არც განმარტებით ბარათსა და არც სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, საჭირო იყო აღნიშნული რეკომენდაციის დაზუსტება და შესაბამისი დეტალური სამშენებლო მეთოდოლოგიის წარდგენა.

ამავე წერილში მიმწოდებელი მიუთითებს, რომ საპროექტო ორგანიზაციის სარეკომენდაციო წერილი ზოგადი ხასიათისაა და სამშენებლო ობიექტზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად არ იყო მიღებული კონკრეტული ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რაც მას მისცემდა სამუშაოების გაგრძელების

შესაძლებლობას, შესაბამისად, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირების თაობაზე.

4.10. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2023 წლის 31 იანვრის №2-01/1332 წერილით მიმწოდებელს, 2024 წლის 26 დეკემბრის №GZ-SEN-022 წერილის პასუხად, აცნობა, რომ

– უშუალოდ ობიექტზე სამუშაოების წარმოების დროს სამუშაოთა წარმოების მეთოდისა და შესაფერისი მანქანა-მექანიზმების შერჩევა წარმოადგენდა კონტრაქტორის პრეროგატივას, და მიმწოდებელს შეეძლო თავად შეერჩია მშენებლობის მეთოდოლოგია მის განკარგულებაში არსებული მანქანა-მექანიზმებისა და რესურსების გათვალისწინებით, შესაბამისად, მიმწოდებელს განმეორებით გაეგზავნა საპროექტო ორგანიზაციის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები ობიექტზე სამუშაოების წარმოებისა და ამოღებული გრუნტის დასაწყობების შესახებ;

– მიმწოდებელს გადაეგზავნა პროექტის ავტორის მიერ მომზადებული „10 კვ ძაბვის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტი“, რომლის შესაბამისადაც უნდა განხორციელებულიყო ელექტრო გადამცემი ქსელის გადატანის სამუშაოები.

ამავე წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს დაავალა ობიექტზე მანქანა-მექანიზმებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მობილიზაცია და არაუგვიანეს 2023 წლის 10 თებერვლისა ობიექტზე განეახლებინა სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.11. მიმწოდებელმა 2023 წლის 9 თებერვლის №GZ-SEN-024 წერილით შემსყიდველ ორგანიზაცის, 2023 წლის 31 იანვრის № 2-01/1332 წერილის პასუხად, განუმარტა, რომ მისთვის გადაცემული პროექტით გათვალისწინებული და ფაქტობრივად არსებული გარემოებები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რის თაობაზეც არაერთხელ ეცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას, ამდენად, მიმწოდებელი ვერ იხელმძღვანელებდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაცემული პროექტით და კვლავ მიმართა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირების თაობაზე.

4.12. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2023 წლის 28 ნოემბრის № 008447523 ექსპერტის დასკვნის თანახმად, „KOCKS CONSULT GMBH“-ის მიერ მომზადებული სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭალადიდის მდინარე ცივისაგან დატბორვის საწინააღმდეგო ღონისძიებების პროექტი დამაკმაყოფილებელ დონეზე იყო შესრულებული და კვლევაში მოცემული ცალკეული საკითხების დაზუსტების შემდეგ, აღნიშნული პროექტის მიხედვით შესაძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება.

4.13. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 26 დეკემბრის №2-01/20718 წერილით მიმწოდებელს, 2022 წლის 26 დეკემბრის № GZ-SEN-022 წერილის პასუხად, ეცნობა, რომ პროექტის ავტორის დაკვეთით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ მომზადდა ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ცალკეული საკითხების დაზუსტების შემდგომ შესაძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება. ამავე წერილით მიმწოდებელს გაეგზავნა პროექტის ავტორის მიერ მომზადებული კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია და ექსპერტის დასკვნაში მითითებული საკითხების განმარტებები, რომელშიც გათვალისწინებული იყო „10 კვ ძაბვის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტი“, რის შესაბამისადაც უნდა განხორციელებულიყო ელექტრო გადამცემი ქსელის გადატანის სამუშაოები. მიმწოდებელს ეთხოვა გაცნობოდა აღნიშნულ პროექტს და წარედგინა ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაცია. მიმწოდებელს ასევე დაევალა ობიექტზე მანქანა-მექანიზმებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მობილიზაცია და არაუგვიანეს 2024 წლის 20 იანვრისა ობიექტზე სამუშაოების განახლება, ასევე, სამუშაოების განსახორციელებლად მიეცა ვადა 2024 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

4.14. მიმწოდებელმა 2024 წლის 11 იანვრის №GZ-SEN-026 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ პროექტი შეიცავდა არსებით დარღვევას, კერძოდ, პროექტით მიწის სამუშაოები უნდა განხორციელდეს რბილპლასტიურ თიხნარში და მე-2 კატეგორიის გრუნტში, რაც არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას და სამშენებლო არეალზე მიწის სამუშაოები ძირითადად შედგება პირველი კატეგორიის დენადპლასტიური თიხნარისგან. ამასთან, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტის დასკვნის გამოკვლევის ნაწილშიც შეფასებულია მიწის გრუნტის განსაზღვრის არასწორი მეთოდიკა (საპროექტო ობიექტზე, რომლის სიგრძეც არის 2 კმ-ზე მეტი, გაიბურღა მხოლოდ 2 ჭაბურღილი და აღებულ იქნა გრუნტის მხოლოდ 2 ნიმუში. საპროექტო ობიექტი მდებარეობს დაბლობზე, შედარებით წყნარი რელიეფით და, ამგვარად, საპროექტო უბანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიც დიდი ვარიაციით არ უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ 2 კმ სიგრძეზე საჭირო იყო სულ ცოტა 3-4 ჭაბურღილის მოწყობა და ამ ჭაბურღილებიდან აღებული მონაცემების მთელ 2 კმ-იან მონაკვეთზე გავრცელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ჭაბურღილებიდან გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევის მონაცემები იქნებოდა დაახლოებით ერთმანეთის მსგავსი, რაც მიუთითებდა აღნიშნულ უბანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ერთგვაროვნებაზე). პროექტის შედგენის ეტაპზე მიწის გრუნტის იდენტიფიცირება არ მოხდა სწორად, შესაბამისად, სამუშაოების წარმოების მეთოდიკა არასწორად იქნა განსაზღვრული და მიმწოდებლის არაერთი მცდელობის მიუხედავად შეუძლებელი იყო სამუშაოების წარმოება პროექტის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო პროექტის კორექტირება ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის შესაბამისად, მიწის გრუნტის კატეგორიის შეცვლა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, ამდენად, მოცემული მდგომარეობით იგი ვერ განაახლებდა სამუშაოებს.

4.15. საპროექტო ორგანიზაციის – „KOCKS CONSULT GMBH“-ის 2024 წლის 3 ივნისის წერილში აღნიშნულია, რომ საპროექტო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ადგილზე გაყვანილ ჭაბურღილს და მდინარის მიერ ჩაჭრილი გაშიშვლებების პროფილს. მიუხედავად ამისა, განხორციელდა საპროექტო უბანზე დამატებითი გეოლოგიური კვლევა, რომლის შედეგადაც კვლავ დადასტურდა საპროექტო დოკუმენტაციაში ასახული გეოლოგიური მდგომარეობა.

4.16. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 11 ივნისის №2-04/8340 წერილით, მიმწოდებელს, 2024 წლის 11 იანვრის № GZ-SEN-026 წერილის პასუხად, ეცნობა, რომ პროექტის ავტორის დაკვეთით განხორციელდა მიმწოდებლის № GZ-SEN-026 წერილში ხსენებულ უბანზე დამატებითი გეოლოგიური კვლევა, რის შედეგადაც დადასტურდა საპროექტო დოკუმენტაციაში ასახული გეოლოგიური მდგომარეობა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება არსებული პროექტის მიხედვით. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა გაცნობოდა საპროექტო ორგანიზაციის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას, მოეხდინა ობიექტზე მანქანა-მექანიზმებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მობილიზაცია და არაუგვიანეს 2024 წლის 20 ივნისისა განეახლებინა სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამავე წერილით მიმწოდებელს ასევე ეთხოვა სამი კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაედასტურებინა მზაობა აღნიშნული დავალების შესრულებაზე და არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივლისისა წარედგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების განახლებული გეგმა-გრაფიკი.

4.17. მიმწოდებელმა 2024 წლის 13 ივნისის №GZ-SEN-027 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას, 2024 წლის 11 ივნისის № 2-04/8340 წერილის პასუხად, კვლავ განუმარტა 2024 წლის 11 იანვრის № GZ-SEN-026 წერილში მითითებული გარემოებები და აცნობა, რომ საჭირო იყო პროექტის ცვლილება ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის შესაბამისად, მიწის გრუნტის კატეგორიის შეცვლა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირება.

4.18. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 3 ივლისის №2-15/9515 წერილით, ცალმხრივად შეწყდა ხელშეკრულება.

4.19. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 18 ოქტომბრის შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების ბარათით № 2 ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 186 642,74 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 23%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გზამშენი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაში მითითებულ გარემოებებზე პროექტის კორექტირების აუცილებლობასთან დაკავშირებით და მიუთითებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2023 წლის 28 ნოემბრის №008447523 ექსპერტის დასკვნაზე, რომლითაც დასტურდება, რომ პროექტი დამაკმაყოფილებელ დონეზე იყო შესრულებული და კვლევაში მოცემული ცალკეული საკითხების დაზუსტების შემდეგ, აღნიშნული პროექტის მიხედვით შესაძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ საპროექტო ორგანიზაციის მიერ განხორციელდა მიმწოდებლის 2024 წლის 26 დეკემბრის № GZ-SEN-026 წერილში ხსენებულ უბანზე დამატებითი გეოლოგიური კვლევა, რის შედეგადაც დადასტურდა

საპროექტო დოკუმენტაციაში ასახული გეოლოგიური მდგომარეობა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება არსებული პროექტის მიხედვით, რის თაობაზეც მიმწოდებელს ეცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 11 ივნისის №2-04/8340 წერილით და მოეთხოვა სამუშაოების განახლება, მაგრამ მიმწოდებელს სამუშაოები არ განუახლებია. მიმწოდებლის მიერ მითითებულ სამუშაოების შესრულების დამაბრკოლებელ სხვა გარემოებთან დაკავშირებით სააგენტო ასევე მიუთითებს შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 31 იანვრის № 2-01/1332 წერილზე, რომლითაც მიმწოდებელს განემარტა, რომ მას თავად შეეძლო თავად შეერჩია მშენებლობის მეთოდოლოგია მის განკარგულებაში არსებული მანქანა-მექანიზმებისა და რესურსების გათვალისწინებით და გაეგზავნა საპროექტო ორგანიზაციის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები ობიექტზე სამუშაოების წარმოებისა და ამოღებული გრუნტის დასაწყობების შესახებ და პროექტის ავტორის მიერ მომზადებული „10 კვ ძაბვის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტი“, რომლის შესაბამისადაც უნდა განხორციელებულიყო ელექტრო გადამცემი ქსელის გადატანის სამუშაოები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. სააგენტო ასევე მიუთითებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაზე და აღნიშნავს, რომ მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების მოცულობის 23%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „გზამშენი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გზამშენი“ (ს/ნ: 437062018) 2024 წლის 6 სექტემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე